

ოქმი №1

ქ. მარნეული

20.04.2021 წელი

**სხდომის თავმჯდომარე:** ზაურ ტაბატაძე /მერის მოვალეობის შემსრულებელი/

**სხდომის მდივანი:** ლარისა გელაშვილი /ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

**სხდომას ესწრებოდნენ:** ლაშა ლობჯანიძე, ვუგარ მამედოვი, ჯაბა ასანიძე, ვაჟა შუბითიძე, დავით მულაძე, დავით ხარშილაძე, ელგუჯა კუპატაძე.

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა;  
/მომხ.ვ.მამედოვი/

**მოისმინეს:** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა აღნიშნა რომ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი პრიორიტეტები შეესაბამება ქვეყნის მიერ დასახულ ძირითად მიმართულებებს და მუნიციპალიტეტის საქმიანობის ასპექტებს.

**სიტყვით გამოვიდნენ:** მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა ზაურ ტაბატაძემ აღნიშნა, რომ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილი ღონისძიებების მიხედვით არსებული სტრუქტურა შეესაბამება რეალობას და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პრიორიტეტების რიგითობა დარჩეს უცვლელი.

**აზრი გამოთქვას:** დამსწრეებმა ჯაბა ასანიძემ და დავით მულაძემ გამოთქვეს აზრი, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება არსებულ ეტაპზე ნამდვილად რჩება პირველ პრიორიტეტად.

**დაადგინეს:** მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები დარჩეს უცვლელი და ნუსხა განისაზღვროს წარმოდგენილი სახით.

არსებული პრიორიტეტები:

- ა) ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბ) დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- გ) განათლება;
- დ) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ე) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ვ) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებზე პასუხისმგებელი სამსახურების განსაზღვრა;  
/მომხ.ვ.მამედოვი /

**მოისმინეს:** ვუგარ მამედოვმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ არსებულ ეტაპამდე პროგრამებზე ქვეპროგრამებზე პასუხისმგებელი სამსახურები განისაზღვრებოდა მერის მიერ დამტკიცებულ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით და მუნიციპალიტეტში განხორციელებული სტრუქტურული

რეორგანიზაციის შემდეგ აუცილებელია მოხდეს ინფორმაციის განახლება და დამტკიცდეს პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე პასუხისმგებელი სამსახურების ნუსხა მერის ბრძანებით.

**სიტყვით გამოვიდნენ:** სამსახურების წარმომადგენლებმა განიხილეს ბიუჯეტის არსებული პროგრამები/ქვეპროგრამები, გამოთქვეს მოსაზრება, რომ ზოგიერთ პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე მიზანშეწონილია რამოდენიმე სამსახური იყოს პასუხისმგებელი, გამომდინარე იქიდან რომ საჭიროებდეს პოლიტიკის განსაზღვრას, დაგეგმვას და შემდგომ განხორციელებას, რაც ეთხმად იქნა მიღებული.

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე პასუხისმგებელ სამსახურთა ნუსხა მათი საქმიანობიდან გამომდინარე წარმოდგენილი დანართის მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარე:

ზაურ ტაბატაძე

სხდომის მდივანი:

ლარისა გელაშვილი

სხდომის დამსწრეები:

მერის მოადგილე

ლაშა ლობჯანიძე

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ვუგარ მამედოვი

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის

სამსახურის უფროსი

ვაჟა შუბითიძე

ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მ.შ.

ჯაბა ასანიძე

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მ.შ.

დავით მულაძე

ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.

დავით ხარშილაძე

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ელვუჯა კუპაძე